შპს „კონექსი"
საქართველო, ქ. თბილისი
მინდელის ქ.№3,ტელ. (+99532)2537698

„Konex" LTD
Tbilisi, Georgia
№3 Mindeli str. Tel. (+99532) 253 76 98

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №94-ში (ს/კ 01.17.13.037.019) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2026

შესავალი. წინამდებარე წარმოადგენს საექსპერო დასკვნას ქ. თბილისში, წმ. ქეთევან დედოფლის გამზიდი №94-ში (ს/კ 01.17.13.037.019) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დეტალური პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია შენობების მზიდი ელემენტების განლაგების სქემები, ძირითადი კონსტრუქციების ნახაზები, კონსტრუქციული პროექტის აღწერა და ტიპიური გადაწყვეტები, მზიდი რკინაბეტონის კონსტრუქციების დაარმატურების ნახაზები, გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, შენობის, როგორც სივრცული ღეროვანი და ფირფიტოვანი ელემენტებით შედგენილი სისტემის გაანგარიშება, პროგრამული კომპლექსი LIRA SAPR 21-ის საშუალებით. წარმოდგენილია აგრეთვე მისი განთავსების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები და პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შპს „ტიბინი დეველოპმენტი“-ს მიერ (პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ზ. პაპუნაშვილი).

პროექტის მიხედვით საცხოვრებელი სახლი შედგება სამი შენობისაგან, ერთი ძირითადი მაღლივი თორმეტსართულიანი, ერთი ორსართულიანი და ერთიც ერთსართულიანი. სამივე შენობას გააჩნია სრთი მიწისქვეშა სარდაფის სართული. სამივე შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, გაბარირული ზომებით 59.0x16.6 მეტრი 10.0x17.0 მეტრი 17.0x16.4 მეტრი, სათანადოდ. მიწისქვეშა სართულის სიმაღლეა 3.0 მეტრი, პირველი სართულის 2.95 მეტრი, დანარჩენის 3.2 მეტრი.

შენობა განთავსებულია თითქმის ჰორიზონტალურ რელიეფზე. ქვაბულის ძირი მიწის ზედაპირიდან ჩაღრმავებულია საშუალოდ 4.3 მეტრზე. ამ რეალობიდან და ადცილზე არსებული პირობებიდან გამომდინარე ქვაბულის ფერდები ეწყობა ბუნებრივი დახრილობით და არ საჭიროებენ რაიმე გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარებას.

შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტის მოკლე დახასიათება.

პროექტის მიხედვით ძირითადი შენობა დიამეტრით Ø1200 მილიმეტრის განიკვეთის მქონე, მდგარი ხიმინჯებით ეფუძნება სუსტად გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების დასტების მორიგეობა – მონაცრისფრო-მოლურჯო ფერის, არგილიტების შრეებს შორის დასტებად განეფინება ქვიშაქვების თხელი შრეები. ახევრადკლდოვანი მასივის საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე $R_{საან}$=6.1 მპა (იხ. „ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზიდი №94-ში (ს/კ 01.17.13.037.019) მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ №01.17.13.037.019) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“ შპს „გეოინჟკომპლექსი“. თბილისი 2025). ხიმინჯის თავები გაერთიანებულია სისქით h=100 სანტიმეტრი, როსტვერკის ფილით.

ერთ და ორსართულიანი შემობები საძირკვლის ფილით ეფუძნება რბილ-პლასტიკური კონსისტენციის თიხნარს (სიმკვრივე ρ=1.91 ტ/მ^3, შინაგანი ხახუნის კუთხე ϕ=12^0 ხვედრითი შეჭიდულობა c=20.0 კპა, დეფორმაციის მოდული E=12.0 მპა, პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=180 კპა).

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი სივრცული სისტემა. შენობას ჰორიზონტალური სიხისტისათვის გააჩნია რკინაბეტონის ვერტიკალური დიაფრაგმები კედლები, რომლებიც ამასთან ერთად ასრულებენ კიბის უჯრედის შემომზღუდავი კედლის ფუნქციასაც. კედლების სისქე h=25.0 სანტიმეტრია. მიწის ქვეშა ნაწილში კედლები, რომლებსაც შეხება აქვს გრუნტთან წყალშეღწევადობით W8 მარკის ბეტონისგანაა დამზადებული. მათზე ეწყობა ჰიდროიზოლაცია ორი ფენა ცხელ ბიტომზე ორი ფენა რუბეროიდის გაკვრით.

შენობის სვეტების განიკვეთის ზომები შენობის სიმაღლის მიხედვით ცვლადია, მათი განივი კვეთის ზომებია : სარდაფში და პირველ სართულზე 40.0x120.0 სმ., მეორე და მესამე სართულებზე 40.0x100.0 სმ. დანარჩენ სართულებზე 40.0x80.0 სმ.

სართულის გადახურვები ხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით. მეორე სართულის იატაკის ფილის სისქე 25.0 სანტომეტრია, დანადჩენი

სართულშუა გადახურვის სისქე კი 20.0 სანტიმეტრია. წიბოების განიკვეთის ზომებია 40.0x32.0(h) სმ მონოლითური რკინაბეტონისაა აგრეთვე კიბის მარშებისა დაბაქნების კონსტრუქციებიც, სისქით 18.0 სმ..

შენობის მზიდ კონსტრუქციებში გამოყენებულია კუმშვაზე სიმტკიცით B25 კლასის ბეტონი. მზიდი კონსტრუქციის დაარმატურება ხორციელდება B500B და A240 კლასის არმატურის ღეროებით.

შენობის გარე და შიგა შემომზღუდავი კედლები და ტიხრები, ნავარაუდევია განხორციელდეს მსუბუქ შემავსებელზე (γ=1200 კგ/მ^3) საკედლე წვრილი ბლოკებისაგან. მათი მზიდ რკინაბეტონის კონსტრუქციებთან მიერთება ხდება წყობის ტოველ მესამე რიგში რკინაბეტონის ვერტილკალურ კონსტრუქციებში ჩაანკერებული არმატურის ღეროებით.

<u>შენობის გაანგარიშების შედეგების ანალიზი</u>. საექსპერტოდ წარმოდგენილი შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების შედეგები მუდმივ, დროებით ხანგძლივ, დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვაზე, ჰორიზონტალურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე. საანგარიშო მოდელი ითვალისწინებს ხიმინჯებისა და მის გარშემო არსებული გრუნტის ერთობლივ მუშაობას ერთი საგები კოეფიციენტის გამოყენებით (ვინკლერის მოდელი). გაანგარიშება ჩატარებულია ლიცენზირებული საანგარიშო კომპლექსი ЛИРА-SAPR 21-ს საშუალებით. სეისმური ძალების ფორმირება X , Y და მათ მიმართ 45^0 –იანი კუთხის მიმართულებით ხდება ნორმატულ დოკუმენტში „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09)-ში მოყვანილი მეთოდიკის საფუძველზე.

შენობის თავისუფალი რხევის პირველი სამი ფორმის პერიოდია T_1 =1.344 წმ, T_2=1.3 წმ, T_3 =1.16 წმ. სეისმური ძალების მონაწილეობის ფაქტორი 98.0 %-ს შეადგენს. პირველი და მესამე ფორმა ძირითადად გრეხვით-გადატანითია, ხოლო მეორე გადატანითი, მცირე გრეხვით.

სახურავის დონეზე სეისმური ზემოქმედებით, არაწრფივი დეფორმაციების გათვალისწინებით სეისმური ძალების შემამცირებელი კოეფიციენტის K_1=0.35 მნიშვნელობისათვის ("სეისმომედეგი მშენებლობა (პნ 01.01-09)") ჰორიზონტალური გადაადგილება სეისმური ძალების X ღერძის მიმართულებით მოქმედების შემთხვევაში Δ_x=49.9 მილიმეტრია, ხოლო სეისმური ძალების Y ღერძის მიმართულებით მოქმედების შემთხვევაში Δ_y=53.9 მილიმეტრია.

გაანგარიშების შედეგების და პროექტში მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ შენობის ძირითადი მზიდი ელემენტების: საძირკვლის ქვეშა გრუნტების, საძირკვლის ფილის, სვეტების, რიგელებისა და გადახურვის ფილების სიმტკიცისა და სიხისტის პირობები უზრუნველყოფილია ნორმატული მოთხოვნების შესაბამისად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო მოდელი, ნაგებობის დაფუძნების ნაწილში, რეალურის შეუსაბამოა, ჯერ ერთი, რეალურად, როსტვერკის ერთმეტრიანი სისქის ფილის, მისი ფორმირების პროცესში, საკუთარი წონით გამოწვეული დატვირთვა მთლიანად გადაეცემა მის ქვეშა გრუნტებს, რაც არ არის ასახული საანგარიშო მოდელში და მეორე, საანგარიშო მოდელში მიღებული სასაზღვრო პირობები წარმოდგენილია დრეკად არეში მომუშავე ხიმინჯებით, ასეთი სასაზღვრო პირობები არ ითვალისწინებს იმ დაშვებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სეისმურ ზემოქმედებაზე ნაგებობების გაანგარიშების სპექტრალური თეორიას. (А. Ф. Смирнов и другие. Строительная механика. Динамика и устойчивость сооружений.Москва 1984, Р. Клаф Дж. Пензиен Динамика сооружений.Москва 1978).

აქედან გამომდინარე საექსპერტოდ წარმოდგენილი გაანგარიშება შეიძლება განხილული იქნას, როგორც პირველი მიახლოება. რომლის შედეგების საფუძველზე განხორციელებული შენობის მზიდი ელემენტების დაკონსტრუირება დიდი მარაგით უზრუნველყოფს კონსტრუქციის საიმედოობას, რაც შეეხება ზემოთ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისეინებას, სრულყოფილ საანგარიშო მოდელზე ჩატარებული გაანგარიშების შედეგებს, მათი ასახვა მოხდება მზიდი ელემენტების ჩატარებული გაანგარიშების შედეგები აისახება რაციონალურ კონსტრუქციულ გადაწყვეტებში,

შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტის შეფასება საექსპერტიზოდ წარმოდგენილ პროექტში განხილული ყველა კონსტრუქციული ელემენტი დანიშნულებიდან გამომდინარე მუშაობის ხასიათით და კონფიგურაციით მრავალჯერადად არის გამოყენებული და მეტ-ნაკლები სისრულით აღწერილია სახელმძღვანელოებში, საცნობარო ლიტერატურაში, ნორმატულ დოკუმენტებში და მათ მეთოდურ მითითებებში. დამპროექტებელ კონსტრუქტორთა მიერ ხორციელდება ცნობილი კონსტრუქციული გადაწყვეტების მისადაგება-მორგება არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტებთან, ადგილობრივ მეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ და სეისმოლოგიურ პირობებთან. ამ მხრივ საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია უნაკლოდ, დამკვეთის მოთხოვნების სრულად გათვალისწინებით.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია ნორმატული ტექნიკური დოკუმენტების НАГРУЗКИ И ВОЗДЕЙСТВИЯ СНиП 2.01.07-85*, БЕТОННЫЕ И ЖЕЛЕЗОБЕТОННЫЕ КОНСТРУКЦИИ СНиП 2.03.01-84*) მოთხოვნების სრული შესაბამისობით.

შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირება განხორციელებულია გაანგარიშების შედეგების სრული შესატყვისობით, უნიფიცირების დასაშვები დონით.

საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (მუშა დოკუმენტაციის) მიმართ შენიშვნები არ გაგვაჩნია. პროექტის კონსტრუქციული ნაწილში ფუძეების, საძირკვლების და სხვა ძირითადი კონსტრუქციების პროექტი შესრულებულია კარგ დონეზე.

დასკვნა ქ. . თბილისში, წმ. ქეთევან დედოფლის გამზიდი №94-ში (ს/კ 01.17.13.037.019) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დეტალური პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს. ეძლევა დადებითი შეფასება მას შეიძლება გაეწიოს რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

მთავარი ინჟინერი

კონსტანტინე ოდიშვილი

თბილისი
13.02.2026

ექსპერტობის კანდიდატის სარეგისტრაციო ფორმა

გვარი, სახელი	ოდიშვილი კონსტანტინე	
პირადი №	01008016530	
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №11 ბინა 20	
საკონტაქტო ტელეფონი	2 225 230, 2 537 698, 599 14 94 08	
ელ-ფოსტა	k.odishvili@konex.ge Konex_ge@mail.ru	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული ობიექტის დასახელება და მისამართი	ქ. თბილისში, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №94 (ს.კ. 01.17.13.037.19-ში ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სახეობა	ქ. თბილისში, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №94 (ს.კ. 01.17.13.037.19-ში ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასებები	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების ნაწილები	ფუძეების, საძირკვლების და სხვა ძირითადი კონსტრუქციები საექსპერტო შეფასება	
შემთანხმებელ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტები	ა) პირადობის მოწმობის ასლი;	
	ბ) პირადი ინფორმაცია (CV);	
	გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატები);	
	დ) ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ;	
	ე) დადასტურებული/დამოწმებული ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ, ობიექტის დასახელების და მისამართის მითითებით;	
	ვ) ექსპერტობის კანდიდატის დეკლარაცია, მოწოდებული ინფორმაციის სისწორის შესახებ.	
ხელმოწერა		
თარიღი	05.02.2026	


საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა
პირადი № 01008016530
სახელი კონსტანტინე
გვარი ოდიშვილი
დაბადების თარიღი 23.05.1942 წ.
დაბადების ადგილი თბილისი
ეროვნება ---
N° J 0191939
კ. ოდიშვილი
პირადი ხელმოწერა


მისამართი ---
მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის ვაკის რ/ნის შს სამმართველო
გაცემის თარიღი 01.07.1998 წ.
მოქმედების ვადა უვადო
ბ.ა.
თანამდებობის პირის ხელმოწერა


საქართველოს მოქალაქის
რეგისტრაციის მოწმობა ა 237586
ძალაშია პირადობის მოწმობასთან ერთად
სახელი კონსტანტინე
გვარი ოდიშვილი
პირადი № 01008016530
მისამართი: თბილისი. ი. ჭავჭავაძის გამზ. II
ბ. 20


რეგისტრაციის ორგანოს დასახელება
თბილისის ვაკის რ/ნის შს სამმართველო
თანამდებობის პირის ხელმოწერა:
„01" ივლისი 1998 წ.
გაცემის თარიღი
ბ. ა.
შინაგან საქმეთა განყოფილება
16. 03 შ.ა. 72
ხელმოწერა

პირადი მონაცემები

გვარი, სახელი, მამის სახელი: ოდიშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე

დაბადების წელი და დაბადების ადგილი: 1942 წლის 23 მაისი. ქ. თბილისი

უმაღლესი სასწავლებლის დასახელება, დამთავრების წელი: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობა სამდინარო ნაგებობების ჰიდროტექნიკური მშენებლობა, 1965 წ.

შრომითი საქმიანობა:

1964 - 1965 წლებში	თბილჰიდროპროექტი, უფროსი ტექნიკოსი.
1965 - 1968 წლებში	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის გამოყენებითი მექანიკის განყოფილება, უფროსი ტექნიკოსი.
1968 - 1971 წლებში	Госстрой СССР, ЦНИИСК им. Кучеренко-ს ასპირანტი.
1971 - 1986 წლებში	Госгражданстрой, „თბილმნიიეპი“ საინჟინრო გათვლების მექანიზაციის განყოფილების გამგე.
1972 – 1992 წლებში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო მექანიკის კათედრა, დოცენტი 0,5 საშტატო ერთეული, შეთავსებით.
1986–1996 წლებში	სამეცნიერო-საპროექტო-საკონსტრუქტორო ცენტრის „მშენინდუსტრია“-ს დირექტორის მოადგილე სამეცნიერეო ნაწილში.
1996 - 2003 წლებში	საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, მეცნიერების კოორდინაციის მთავარი სამმართველოს უფროსი.
2003 წლიდან დღემდე	შპს „კონექსი“-ს მთავარი ინჟინერი.

სამეცნიერო ხარისხი, წოდება: ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (დაცვა 28.06.1972, მინიჭება 16.10.1972)

საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჯილდოები, პრემიები: ღირსების მედალი 1997 წელი, საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, 2002 წელი.
საქართველოს დამსახურებული მშენებელი.

საკონტაქტო მონაცემები: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 11, ბ. 20,

შპს „კონექსი"
საქართველო, ქ. თბილისი
მინდელის ქ.№3,ტელ. (+99532)2537698

„Konex" LTD
Tbilisi, Georgia
№3 Mindeli str. Tel. (+99532) 253 76 98

Web:www.konex.ge
Email:info@konex.ge

ინფორმაცია კონსტანტინე ოდიშვილის სამუშაო გამოცდილების შესახებ

საქართველოს დამსახურებული მშენებელი, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურიატი, საქართველოს მშენებელ ექსპერტთა ასოციაციის წევრი კონსტანტინე ოდიშვილი არის საკონსულტაციო, საექსპერტიზო, საინფორმაციო და საპროექტო ფირმა შპს „კონექსი"-ს ერთერთი დამაარსებელი და ამავე დროს ითავსებს მთავარი ინჟინრის თანამდებობას. იგი ეწევა მრავალმხრივ საქმიანობას სამშენებლო ობიექტების პროექტების დამუშავებაში. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების ნაგებობების გაანგარიშებებში და პროექტირების მეცნიერულ თანძღოლაში. კერძოდ კოსმოსური გასაშლელი ანტენის გაანგარიშებასა და დაპროექტებაში. ფოთის პორტის გაფართოებასა და რეკონსტრუქციის პროექტში; ყულევის პორტისა და მდინარე ნატანების შესართავთან ნაგებობების კონსტრუქციების გაანგარიშებასა და პროექტირებაში; ასამდე მსხვილი ობიექტის კონსტრუქციების გაანგარიშებასა და დაპროექტებაში.. ალაზნის სარწყავი სისტემის ქისტაურის დიუკერის, გუმათი ჰესის შენობის, ზონკარის გამყვანი და ლაჯანურის უდაწნეო გვირაბების აღდგენა–გაძლიერების პროექტში; სამი გადახრილი შენობის გასწორება-გაძლიერების პროექტში; ასოცზე მეტი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავებაში, მათ შორის ისეთი უნიკალური ნაგებობების, როგორებიცაა: სასტუმრო „რედისონ ივერია", „ცენტრ-პოინტი"-ს საცხოვრებელი კომპლექსი ხოშარაულის ქუჩაზე, „Up Town"- კომპლექსი აღმაშენებლის ხეივანზე, იუსტიციის სამინისტროს შენობა, 50 სართულიანი შენობა მეტრო „დელისი"-თან. და სხვა. ბორჯომში და ბაკურიანში წყლის დამუშავების სადგურები; წინანდლის ღვინის ქარხნის რეკონსტრუქცია და ახალი სასტუმროს შენობა; ლარსი ჰესი; არაგვი ჰესის ნაგებობების დაპროექტება (კონსტრუქციული ნაწილი) და საავტორო ზედამხედველობა; 30 და 43 სართულიანი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლების შენობები ქ. ბათუმში, ხიმშიაშვილის და კობალაძის ქუჩების გადაკვეთაზე, კახინსკის ქუჩაზე; ახალსოფელი ჰესი; ქ. თბილისში, გ. ტაბიძის ხიდთან სატრანსპორტო კვანძის კონსტრუქციების დაპროექტება-მშენებლობაში; ვაკე-იყალთოს ქუჩა დამაკავშირებელ გზაზე ხიდი და ესტაკადა; ქუთაისის აეროპორტის საფარის რეკონსტრუქცია; ლარსი ჰესი, ჩელთი ჰესის სადაწნეო მილსადენინი და საგენერატორო სადგური; ენგურჰესის საგენერატორო სადგურთან მისასვლელი გვირაბის გაძლიერების პროექტი; რიცეულა ჰესის ახალი სადერივაციო გვირაბის პროექტი; ხადორი, დარიალი და კინტრიში ჰესის საგენერატორო სადგურის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი; ქ. ბათუმთან საავტომობილო გზის ესტაკადის პროექტი.

კონსტანტინე ოდიშვილი წლების განმავლობაში იყო საქართველოს სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს ექსპერტი და მეცნიერ ექსპერტთა საბჭოს წევრი. იგი მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის წევრი –მშენებლობის ექსპერტია.

დირექტორი ----------/დალი ჯაფარიძე/

შპს „კონექსი"
საქართველო, ქ. თბილისი
მინდელის ქ.№3,ტელ. (+99532)2537698

„Konex" LTD
Tbilisi, Georgia
№3 Mindeli str. Tel. (+99532) 253 76 98

Web:www.konex.ge
Email:info@konex.ge

ინფორმაცია კონსტანტინე ოდიშვილის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ

ბოლო 5 წლიწადში შესრულებული ძირითადი სამუშაოები:

1. იუსტიციის სახლები მესტიაში, ყვარელში, ახალციხეში, მარნეულში, გორში, მცხეთაში, ზუგდიდში 2010-2012 წ.წ.
2. ქვემო ქართლის პროკურატურის შენობა ქ. რუსთავში 2012 წ.
3. ბორჯომში და ბაკურიანში წყლის დამუშავების სადგურები 2010-2011 წ. წ.;
4. წინანდლის ღვინის ქარხნის რეკონსტრუქცია და ახალი სასტუმროს შენობა 2012 წ;
5. ლარსი ჰესი 2011-2012 წ. წ.;
6. არაგვი ჰესის ნაგებობების დაპროექტება (კონსტრუქციული ნაწილი) და საავტორო ზედამხედველობა;
7. 30 და 44 სართულიანი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლების შენობა ქ. ბათუმში, ხიმშიაშვილის და კობალაძის ქუჩების გადაკვეთაზე 2013-2015 წ. წ.;
8. ახალსოფელი ჰესი 2012-2013
9. ქ. თბილისში, გ. ტაბიძის ხიდთან სატრანსპორტო კვანძი 2012 წ.;
10. ვაკე-იყალთოს ქუჩა დამაკავშირებელ გზაზე ხიდი და ესტაკადა 2011 წ.;
11. ქუთაისის აეროპორტის საფარის რეკონსტრუქცია და რუსთავის ავტოდრომის საფარი 2011-2012 წ. წ.;;
12. ჩელთი ჰესის სადადაწნეო მილსადენინისა და საგენერატორო სადგური;
13. საავტომობილო გზის ესტაკადა ქ. ბათუმთან 2012 წ.
14. ლარსი ჰესი მდინარე თერგზე 2013 წ.
15. საცხოვრებელი კომპლექსი „თბილისის ვერანდა" 2013
16. ქ. თბილისი კოსტავას ქ. №47 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი 2013 წ/
17. დარიალი და კინტრიში ჰესის საგენერატორო სადგურის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. 2014-2015 წ. წ.;
18. ქ. თბილისი გერგეთის 4. შაცხოვრებელი სახლი 2016;
19. ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ქურდიანის ქ. №7 საცხოვრებელი სახლი 2017;
20. ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5, 33 სართულიანი საცხოვრებელი სახლი 2018;
21. ქ. ბათუმი სასტუმრო და სასტუმროს ტიპის აპარტამენტები „ალიანს პალასი" 2016
22. ქ. ბათუმი „ორბი ბიჩ ტაუერი" 2017

მან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ექსპერიზა ჩაუტარა ასზე მეტ სამშენებლო ობიექტის პროექტის კონსტრუქციული ნაწილს. მათ შორის:

1. ქ. მცხეთაში არსუკიძის ქუჩაზე №137 მიწის ნაკვეთზე მშენებარე სასტუმროს მზიდი კონსტრუქციების პროექტში მოყვანილი კონსტრუქციულ გადაწყვეტებთან შესაბამისობისა და მის ერთ ნაწილში არაწრფივი დეფორმაციების განვითარების სავარაუდო მიზეზების დადგენა 2012 წ;
2. ქ. ქუთაისში ირაკლი აბაშიძის გამზირზე მდებარე საქართველოს მთავრობის სახლის მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშება და მასზე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შესაბამისობის დადგენა პროექტში მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტებთან 2013 წ.

3. ნაბეღლავი ჰესი მდინარე გუბაზეულზე, არსებული შენობა-ნაგებობის და მათი ნაწილების საექსპერტო შეფასება. 2013 წ.
4. მესტიაში "თეთნულდი"-ს სამთო სათხილამურო კურორტის საბაგიროს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი 2013 წ.
5. ქარელის მუნიციპალიტეტში შაქშაქეთი ჰესის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი 2015 წ.
6. ქობულეთის მუნიციპალიტეტში კინტრიში ჰესის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი 2015 წ.
7. ქ. თბილისში, კარფურის სავაჭრო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილზე 2016;
8. ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. №28 მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილზე;
9. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მაღლივი კორპუსის მიმდებარედ მრავალფუნქციური, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილზე;
10. გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფელ თელეთთან „პრიმერა გოლფი"-ს ტერიტორიაზე 10000 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე 2017;
11. გურიის რეგიონში მდინარე საშუალაზე „საშუალა ჰესი"-ს პროექტზე 2017;
12. ქ. თბილისში, ზაჰესში (ს/კ 01.72.14.045.614) „სუპერი"-ს სასაწყობო შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილზე 2017;
13. ქ. თბილისში, ერეკლე II-ს ქუჩაზე სასტუმროს პროექტის კონსტრუქციული ნაწილზე 2017;
14. ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზ. №1-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილზე 2017;
15. კახეთის რეგიონში, მდინარე სტორიზე „სტორი ჰესი"-ს კონცეპტუალური პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე 2018;
16. კასპის „ჰაიდელბერგის" ცემენტის ქარხნის შემადგენელ თექვსმეტი ნაგებობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე 2017-2018;
17. ქ. ხაშურში ტაძარი „ბანა"-ს პროექტის კონსტრუქციული ნაწილზე;
18. ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკ. №001.296) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილზე 2018;
19. ქ. თბილისში, ხევძმარის ქ. №33-ში არსებულ ნაკვეთზე (ნაკ.№01.11.17.001.195) მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილზე 2018;

----------/დალი ჯაფარიძე/

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაცია – საანკეტო მონაცემების, განათლების, შრომითი საქმიანობის, ობიექტების პროექტების ჩატარებული ექსპერტიზის შესახებ სწორია და ვადასტურებ.



კონსტანტინე ოდიშვილი

დიპლომი

წარჩინებით

Ο № 066098

ეს დიპლომი მიეცა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ოდიშვილს

იმაზე, რომ იგი 1959 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის სახ. საქ. შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1965 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით „ჰიდროტექნიკური მშენებლობა და ჰიდროელექტროსადგურები“

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1965 წ. „... მარტის“ გადაწყვეტილებით კ.ა. ოდიშვილს მიენიჭა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი (დირექტორი)

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1966 წ. „29/XII 1966 წ.“

სარეგისტრაციო № 11710

Грузинский яз.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Ο № 066098

Настоящий диплом выдан *Одишвили Константину Александровичу*

в том, что он в *1959* году поступил в *Груз. Ордена Трудового Красного Знамени политехнический институт им. В.И. Ленина*

и в 19*65* году окончил полный курс названного *института*

по специальности *„Гидротехническое строительство речных сооружений и гидроэлектростанций“*

Решением Государственной экзаменационной комиссии от *... марта* 19*65* г.

Одишвили К.А.

присвоена квалификация *инженера-гидротехника*

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор (директор)

Секретарь

М. П.

Город *Тбилиси 29/XII* 19*66* г.

Регистрационный № *11710*

Московская типография Гознака. 1959.